ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1482729

ნომერი: AR1235104

თარიღი : 07.07.2014

გაცემის თარიღი : 23.09.2014

გაცნობის თარიღი : 30.09.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტის , N 5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ისმაილი ხატიაშვილი პ/ნ 01005013965
- თბილისი ლარსის შეს. N 5 ბ. 33

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმა

2014 წლის 07 ივლისს AR1235104 განცხადებით ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს მომართა მოქალაქე ისმაილ ხატიაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქ. #5–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის (საზოგადოებრივი, საცხოვრებელი, დასასვენებელი, სავაჭრო და ა.შ) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმება.
სამსახურმა საკითხი, მრავალფუნქციური კომპლექსის (საზოგადოებრივი, საცხოვრებელი, დასასვენებელი, სავაჭრო და ა.შ) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების თაობაზე წარადგინა ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2014 წლის 09 სექტემბრის სხდომაზე (ოქმი #26) განსახილველად. „ზონალური“ კომისიის გადაწყვეტილებით უარი ეთქვა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის (საზოგადოებრივი, საცხოვრებელი, დასასვენებელი, სავაჭრო და ა.შ) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმებას.
“ზონალური კომისიის“ 2014 წლის 09 სექტემბრის სხდომის ოქმი #26 (იხ. დანართი), პუნქტი 5-ის რეკომენდაციის და

სამსახურის გადაწყვეტილების შესაბამისად,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას მოქალაქე ისმაილ ხატიაშვილს, ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქ. #5–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის (საზოგადოებრივი, საცხოვრებელი, დასასვენებელი, სავაჭრო და ა.შ) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმებაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.